

შპს 'EM კონსულტაციები და პროგრამული უზრუნველყოფა, EMCoS'

ფინანსური ანგარიშგება

**2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის**

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. საადრიცხვო პოლიტიკა	7
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ	13
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	14
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	14
7. მარაგები	14
8. ძირითადი საშუალებები	15
9. არამატერიალური აქტივები	16
10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16
11. ფინანსური ინსტრუმენტები	16
12. საგადასახადო ვალდებულებები	17
13. ამონაგები	17
14. სხვა შემოსავლები	17
15. სხვა ხარჯები	17
16. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან - წმინდა	18
17. დივიდენდი	18
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	198
19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	19

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-24	31-12-23	31-12-22
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	5	185,838	6,136,147	4,821,604
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,209,585	1,502,942	2,166,945
მარაგები	7	40,988	57,365	50,566
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,436,412	7,696,455	7,039,115
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	1,270,818	1,184,378	663,989
არამატერიალური აქტივები	9	188,285	225,450	194,931
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,459,102	1,409,827	858,920
მთლიანი აქტივები		2,895,514	9,106,282	7,898,035
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	102,938	152,337	41,990
საგადასახადო ვალდებულებები	12	-	4,662	-
მოკლევადიანი სესხები		80,000	-	-
გადასახდელი პროცენტი		-	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		182,938	156,999	41,990
მთლიანი ვალდებულებები		182,938	156,999	41,990
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		89,444	89,444	89,444
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,623,132	8,859,839	7,766,601
სულ საკუთარი კაპიტალი		2,712,576	8,949,283	7,856,045
მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,895,514	9,106,282	7,898,035

დირექტორი

Roman Jobava

რომან ჯობავა

ფინანსური მენეჯერი

N.Jobava

ნანა ჯობავა

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31-12-24	31-12-23
ამონაგები	13	3,585,842	5,832,976
სხვა შემოსავლები	14	4,219	14,311
დაქირავებულ პირთა ხელფასებისა და გასამრეჯელობის ხარჯი		(4,317,903)	(3,797,776)
ცვეთა და ამორტიზაცია		(348,580)	(342,536)
მივლინების ხარჯი		(199,270)	(190,043)
როიალტი		(163,715)	(87,871)
საიჯარო ქირა		(126,000)	(117,000)
კომუნალური ხარჯები		(58,572)	(41,473)
რეკლამის ხარჯი		(40,945)	(35,822)
ბანკის მომსახურების საკომისიო		(103,722)	(58,785)
ელექტრო ლაბორატორიული მასალები		(13,574)	(12,398)
წარმომადგენლობითი ხარჯი		(10,881)	-
სხვა ხარჯები (აღრე წარდგენილი 2023წ. (66,152.00) ლარი)	15	(178,730)	(129,196)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან - წმინდა (აღრე წარდგენილი 2023წ. 62,505.00)	16	(78,435)	58,851
საპროცენტო ხარჯი		-	-
მოგება დაბეგვრამდე		(1,964,040)	1,093,238
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		(2,050,266)	1,093,238
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი		8,859,839	7,766,601.
დივიდენდები	17	4,186,442	-
წინა პერიოდის შეცდომების გასწორება		-	(66,699)
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი გადაანგარიშებული		-	8,926,538
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი		2,623,132	8,859,839

6-20 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

დირექტორი

Roman Jobava

ფინანსური მენეჯერი

N. Jobava

რომან ჯობავა

ნანა ჯობავა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	31-12-24	31-12-23
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(1,964,040)	1,093,238
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		
- ცვეთა და ამორტიზაცია	348,580	342,536
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი		
- (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	78,435	(58,851)
- (მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(1,952)	-
- წმინდა ფინანსური (შემოსავალი)/ხარჯი	(4,992)	(13,937)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:		
- მარაგები	16,377	6,799
- მოკლევადიანი მოთხოვნები	262,862	674,976
- სხვა საგადასახადო აქტივები/ ვალდებულებები	(93,510)	4,662
- მოკლევადიანი ვალდებულებები	44,816	108,316
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	(1,309,520)	2,157,740
- მიღებული პროცენტები	4,992	13,937
- გადახდილი მოგების გადასახადი	86,226	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,390,574)	2,171,677
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(235,856)	(676,028)
- ძირითადი საშუალებების გასვლა	(572)	-
- არამატერიალურიაქტივების შეძენა	(163,971)	(217,561)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(400,400)	(893,589)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- სასესხო ვალდებულებების ზრდა	80,000	-
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა		
- გადახდილი დივიდენდები	(4,186,442)	-

დირექტორი

Roman Jobava

რომან ჯობავა

ფინანსური მენეჯერი

N. Jobava

ნანა ჯობავა

წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(4,106,442)	-
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	(5,897,595)	1,278,087
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	6,136,147	4,821,604
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(52,714)	36,456
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	185,838	6,136,147

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს 'EM კონსულტაციები და პროგრამული უზრუნველყოფა, EMCoS' (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2004 წლის 25 ოქტომბერს. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი რომან ჯობავა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტრომაგნიტური მოდელირებისათვის განკუთვნილ პროგრამულ უზრუნველყოფის შექმნა. ელექტრონული მოწყობილობების ერთმანეთთან თავსებადობის შესწავლა, როგორც სამეცნიერო კვლევით დონეზე, ასევე საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღების დონეზე. კომპანია აგრეთვე თავისი საქმიანობის სფეროში კონსულტაციებს უწევს საავტომობილო, ელექტრონულ და სხვა ინდუსტრიებში მომუშავე კომპანიებს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რ-ნი, პეკინის გამზ. N27.

2. მომზადების საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე (მსს ფასს) გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. საწარმომ აღნიშნულ თარიღში მოამზადა მხოლოდ მსს ფასს-ის შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით

- ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია სრულ ლარამდე.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები

დირექტორი

Roman Jobava

რომან ჯობავა

ფინანსური მენეჯერი

N. Jobava

ნანა ჯობავა

გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-5 მენიშვნაში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტის განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2,9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2,9753

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

დირექტორი

Roman Jobava

რომან ჯობავა

ფინანსური მენეჯერი

N. Jobava

ნანა ჯობავა

შპს 'EM კონსულტაციები და პროგრამული უზრუნველყოფა, EMCoS'

ფინანსური ანგარიშგება 2024

წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
გამზომი აპარატურა	2-15
კლასტერი	3-5
ლაბორატორიის მოწყობილობა	3-10
კომპიუტერული ტექნიკა	2-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
სხვა ძირითადი საშუალებები	3-6

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, ლიცენზიებს და პატენტებს. არამატერიალური აქტივების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ მდგომარეობაში მოსაყვანად.

არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

არამატერიალური აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
პროგრამული უზრუნველყოფა	10

დირექტორი

Roman Jobava

რომან ჯობავა

ფინანსური მენეჯერი

N. Jobava

ნანა ჯობავა

პატენტი

10

ლიცენზია

1-3

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნედლეულისა და მასალების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება დანახარჯთა ინდივიდუალური იდენტიფიკაციის მეთოდის გამოყენებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალური აქტივებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

დირექტორი

Roman Jobava

რომან ჯობავა

ფინანსური მენეჯერი

N. Jobava

ნანა ჯობავა

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმომოხილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმომოხილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

დირექტორი

Roman Jobava

რომან ჯობავა

ფინანსური მენეჯერი

N. Jobava

ნანა ჯობავა

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის რეალიზაციიდან და საკონსულტაციო მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავლებს.

პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

საკონსულტაციო მომსახურებიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მომსახურების გაწევის შესაბამისად, ინვოისის საფუძველზე.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი, პროგრამული უზრუნველყოფის და საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებიდან მიღებული ამონაგების გარდა, აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები აღიარდება ღირებულების მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

კომპანია 01.03.2021 წლიდან ფლობს საერთაშორისო კომპანიის სტატუსს, რაც მას საშუალებას აძლევს ისარგებლოს გარკვეული საგადასახადო შეღავათებით.

დირექტორი

Roman Jobava

რომან ჯობავა

ფინანსური მენეჯერი

N. Jobava

ნანა ჯობავა

- მოგების გადასახადი - 5% (ნაცვლად ჩვეული 15%-ისა),
- სამემოსავლო გადასახადი - 5% (ნაცვლად ჩვეული 20%-ისა),
- დივიდენდებზე დასაკავებელი გადასახადი - 0% (ნაცვლად 5%-ისა),
- ქონების გადასახადი (მიწის გარდა) - გათავისუფლებულია, იმ შემთხვევაში, თუ ქონება გამოიყენება მხოლოდ სტატუსით ნებადართული საქმიანობისთვის (სტანდარტულად ქონების გადასახადი 1%-ს უდრის).

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით იბეგრება არა წლიური შედეგები, არამედ ყოველთვიური შედეგი განაწილებისას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დამჯებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი აგრეთვე მორალური მოძველება და საკანონმდებლო შეზღუდვები. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

- უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

- ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31-12-24	31-12-23
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,880	2,536
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	2,944	336
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	42,930	242,655
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	137,084	5,890,620
სულ	185,838	6,136,147

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-12-24	31-12-23
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	183,939	328,711
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა 17)	969,134	1,131,098
გადახდილი ავანსები	47,487	40,890
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9,025	2,244
სულ	1,209,585	1,502,942

დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

მარაგები	31-12-24	31-12-23
ლაბორატორიის მასალა	37,430	54,399
საგამოფენო სარეკლამო მასალა	3,558	2,967
სულ	40,988	57,365

მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარი. 2024 წელს კომპანიას ვალდებულების უზრუნველსაყოფად მარაგები გირაოში არ აქვს ჩადებული.

8.ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	გამზომი აპარატურა	კლასტერი	ლაბორატორიის მოწყობილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამი
ნაშთი: 2024 წლის 01 იანვარი	616,659	272,753	18,443	1,673,699	107,826	62,522	53,384	2,805,287
შემოსვლა	138,359	-	16,636	71,080	267	-	9,514	235,856
გასვლა	(1,892)	-	-	(574)	(4,393)	-	-	(6,859)
ნაშთი: 2024 წლის 31 დეკემბერი	753,126	272,753	35,079	1,744,205	103,700	062,522	62,898	3,034,284
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება								
ნაშთი: 2024 წლის 01 იანვარი	(369,204)	(189,280)	(13,186)	(891,438)	(80,348)	(48,826)	(28,627)	(1,620,909)
დარიცხვა წლის განმავლობაში	(39,125)	(19,780)	(1,195)	(75,685)	(3,679)	(1,999)	(5,982)	(147,444)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	243	-	-	481	4,163	-	-	4,887
ნაშთი: 2024 წლის 31 დეკემბერი	(408,086)	(209,061)	(14,381)	(966,642)	(79,864)	(50,825)	(34,609)	(1,763,467)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2023	247,456	83,473	5,257	782,261	27,478	13,696	24,757	1,184,378
31 დეკემბერი 2024	345,041	63,693	20,698	777,563	23,837	11,698	28,288	1,270,818

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

Roman Jobava

N.Jobava

რომან ჯობავა

ნანა ჯობავა

9. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	პატენტები	სულ
01 იანვარი 2024	314,702	157,981	11,549	484,233
შემოსვლა	144,653	18,139	1,180	163,971
გასვლა	(284,101)	-	-	(284,101)
31 დეკემბერი 2024	175,254	176,120	12,729	364,103
ცვეთა და გაუფასურება				
01 იანვარი 2024	(144,985)	(112,553)	(1,245)	(258,783)
პერიოდის ცვეთა	(186,993)	(12,870)	(1,273)	(201,136)
გასვლა	284,101	-	-	284,101
31 დეკემბერი 2024	(47,877)	(125,423)	(2, 517)	(175,818)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2023	169,716	45,428	10,305	225,450
31 დეკემბერი 2024	127,377	50,697	10,212	188,285

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-12-24	31-12-23
სავაჭრო ვალდებულებები (2023წ. ადრე წარდგენილი 95,271)	102,938	152,337
მიღებული ავანსები	-	-
	-	-
გადასახდელი ხელფასი		-
		-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-
მოკლევადიანი სესხები	80,000	-
		-
გადასახდელი პროცენტი		
სულ	182,938	152,337

11. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები	31-12-24	31-12-23
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	1,338.911	7,595.956

დირექტორი

Roman Jobava

რომან ჯობავა

ფინანსური მენეჯერი

N. Jobava

ნანა ჯობავა

შპს 'EM კონსულტაციები და პროგრამული უზრუნველყოფა, EMCoS'

ფინანსური ანგარიშგება 2024

წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სულ	1,338,911	7,595,956
ფინანსური ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	102,938	152,337
სულ	102,938	152,337

12. საგადასახადო ვალდებულებები

	31-12-24	31-12-23
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	-	-
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი (სხვა)	-	-
გადასახდელი დღგ.	-	4662
გადასახდელი ქონების გადასახადი	-	-
სულ	-	4662

13. ამონაგები

	31-12-24
ამონაგები პროდუქციის მიწოდებიდან	2,848,934
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	736,908
სულ	3,585,842

14. სხვა შემოსავლები

	31-12-24
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	(572)
ლაბ. მასალის ექსპორტი	(826)
საპროცენტო შემოსავლები	4,992
უსასყიდლოდ მიღებული ლაბ. მასალები	626
სულ	4,219

15. სხვა ხარჯები

	31-12-24
არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურება	(9,331)
კომპიუტერის ხარჯები	(7,478)
საქონლის დროებით რეჟიმში შემოტანის ხარჯი	(4,147)

დირექტორი

Roman Jobava

რომან ჯობავა

ფინანსური მენეჯერი

N. Jobava

ნანა ჯობავა

შპს 'EM კონსულტაციები და პროგრამული უზრუნველყოფა, EMCoS'

ფინანსური ანგარიშგება 2024

წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ზარალი d/ს-ს ჩამოწერით	(323)
სხვა საერთო ხარჯი	(71,225)
მოგების გადასახადი გაცემულ დივიდენდზე	(86,226)
სულ	(178,730)

16. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან - წმინდა

	31-12-24
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	275,254
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(353,689)
სულ	(78,435)

17. დივიდენდი

2024 წლის მაისის თვეში მოხდა დივიდენდის გაცემა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდამოგებიდან **992,486.52 ლარი**. გაცემულ დივიდენდს დაერიცხა მოგების გადასახადი **175,144.68 ლარი**. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის მიხედვით ჩასათვლელი თანხა განისაზღვრა **88,918.56 ლარის** ოდენობით, ხოლო გადასახდელი მოგების თანხა - **86,226.12 ლარის** ოდენობით.

2021, 2022 და 2023 წლების საერთაშორისო სტატუსის მქონე საწარმოს წმინდა მოგებიდან **3,193,955.00 ლარი**. („საერთაშორისო კომპანიის სტატუსის განსაზღვრის, მისთვის ნებადართული საქმიანობისა და ცალკეული ხარჯების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 8 ოქტომბრის №619 დადგენილების დანართი №3-ით გათვალისწინებული საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირის მიერ შესაბამისი კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში გაწეული ხარჯის ოდენობა, რომლის გაწევის შემთხვევაშიც პირს უფლება აქვს შეამციროს მოგების გადასახადით განაწილებული მოგების თანხა.) აქედან გამომდინარე არ შეუხო მოგების გადასახადის გადახდა. სულ გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა **4,186,442.00 ლარი**.

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100% წილის მფლობელია რომან ჯობავა.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

პროდუქციის მიწოდება:

	31-12-24
სხვა დაკავშირებული მხარეები	

დირექტორი

Roman Jobava

რომან ჯობავა

ფინანსური მენეჯერი

N. Jobava

ნანა ჯობავა

შპს 'EM კონსულტაციები და პროგრამული უზრუნველყოფა, EMCoS'

ფინანსური ანგარიშგება 2024

წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სულ

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

	31-12-24	31-12-23
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა)		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება:		
სხვა დაკავშირებული მხარეები	969,134	1,131,098
სულ	969,134	1,131,098

სხვა დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს გერმანიაში რეგისტრირებული კომპანია, რომლის მაკონტროლებელი მხარეა შპს "EM კონსულტაციები და პროგრამული უზრუნველყოფა, EMCoS"-ის დამფუძნებლის ახლო ოჯახის წევრი. ასევე საფრანგეთში რეგისტრირებული კომპანია, რომლის 50% წილის მფლობელია შპს "EM კონსულტაციები და პროგრამული უზრუნველყოფა, EMCoS"-ის დამფუძნებელი.

სხვა დაკავშირებულ მხარეზე ხდება პროდუქციის მიწოდება. დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნის დაფარვა შეთანხმების თანახმად უნდა განხორციელდეს 2025 წლის ოქტომბრამდე, რაც ანგარიშგების წარდგენის პერიოდისთვის შესრულებულია. 2024 წელს მოთხოვნასთან დაკავშირებით უიმედო ან საეჭვო ვალეების ხარჯები არ აღიარებულია.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2024
შრომის ანაზღაურება მთლიანად	516,894
სულ	516,894

19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ დამფუძნებლის რომან ჯობავას მიერ შემოტანილი იქნა უპროცენტო სესხი 1,195,000 ლარი.

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

N. Jobava

რომან ჯობავა

ნანა ჯობავა